



ქ. მცხეთა

23-03-2020

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 102/20

ახალი კორონავირუსის (COVID-2019) ეპიდემიასთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლისა და საქმის წარმოების განსხვავებული წესის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 61-ე მუხლებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- საქართველოს ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ (შემდგომში - საქპატენტი):
 - ყველა თანამშრომელი გადავიდეს დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე;
 - საჯარო სერვისები განმცხადებლებს მიეწოდოს (შესაძლებლობის შემთხვევაში) დისტანციურად, უწყების ელექტრონული განაცხადების სისტემის მეშვეობით და ელექტრონული კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
 - სააპელაციო პალატის სხდომები გაიმართოს დისტანციურად (შესაძლებლობის შემთხვევაში) ელექტრონული კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.
- დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე მყოფი თანამშრომელი სამსახურში შეიძლება გამოცხადდეს სამსახურებრივი საჭროებიდან გამომდინარე, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.
- ამ ბრძანების პირველი პუნქტში მითითებული თანამშრომელი ვალდებულია:
 - დაიცვას საქპატენტის შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაო საათები და განახორციელოს მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება;
 - სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა შეამოწმოს საათში ერთხელ მაინც და დროულად მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;
 - უზურუნველყოს მუდმივ სატელეფონო კონტაქტზე ყოფნა.
- დისტანციური სამუშაო რეჟიმის პერიოდში:
 - დისტანციური პროცესების მართვა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს;
 - საქპატენტის საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის კონტროლი და მიღებული კორესპონდენციის/დოკუმენტაციის გადამისამართება/მიწოდება შესრულებაზე პასუხისმგებელი

დეპარტამენტებისათვის და შესაბამისი დეპარტამენტების მიერ მომზადებული დოკუმენტების განმცხადებლებისათვის გაგზავნის/მიწოდების უზრუნველყოფა დაევალოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამმართველოს უფროსს - ნინო ცუხიშვილს;

გ) სატელეფონო კონსულტაციების გაწევა და დისტანციურ სამუშაო რეჟიმთან დაკავშირებული ინფორმაციის მომხარებლისათვის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფა დაევალოს, მომსახურების დეპარტამენტის უფროსს - მაგდა მაჩაიძეს;

გ) დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შესაბამისი დეპარტამენტის უფროსს;

დ) საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილეებს დაევალოთ საქპატენტის გამართული საქმიანობის კოორდინაცია.

5. დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანო შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საქპატენტის შინაგანაწესით განსაზღვრული შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები.

6. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ თანამშრომელს შეუნარჩუნდეს შრომითი ანაზღაურება.

7. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად საქპატენტის თანამშრომელთა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლის შესახებ“ 2020 წლის 12 მარტის N67/20 ბრძანება.

9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

საფუძველი: მოხსენებითი ბარათი № 667-20/20, 23-03-2020.

თავმჯდომარე



მინდია დავითაძე

ეგზავნება: ეგზავნება: საქპატენტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

